კიკო და ბევრიმე

End Violence Against Children

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

კიკო და ბევრიმე

ესენი პიპა და კიკო არიან. პიპა ზრუნავს კიკოზე, რომელიც ძალიან ბევრს სწავლობს ჭკვიან პიპაზე დაკვირვებით. მათ უყვართ ერთმანეთი და დიდ დროს ატარებენ ერთად თამაშსა და საუბარში.



ეს კი... ჯადოსნური სასტვენია! როდესაც კიკო სტვენს სასტვენს, პიპა ყოველთვის კიკოს გვერდით ჩნდება! ფლუიი, ფლუიი! უსტვენს ჯადოსნური სასტვენი.ეს კი... ჯადოსნური სასტვენია! პიპა ყოველთვის მზათ არის მოვიდეს კიკოსთან!

ფლუიი, ფლუიი! უსტვენს ჯადოსნური სასტვენი.

ფლუიი, ფლუიი!

"ეს რა არის?" ეკითხება კიკო.

„ეს ეკრანია. ეკრანები სხვა სამყაროს ჯადოსნურ ფანჯრებს ჰგვანან“, პასუხობს პიპა.

„რამე მომიყევი იმ სამყაროს შესახებ!“

„ეს ის ადგილია, სადაც შეგიძლია ბევრი რამ ისწავლო და გაერთო მეგობრებთან ერთად, რომლებიც პლანეტის ყველა კუთხიდან არიან“, უხსნის პიპა.

„მაგრამ ეს შეიძლება სახიფათო იყოს, კიკო. ძალიან დიდი ყურადღება უნდა გამოიჩინო“.

„მე ძალიან, ძალიან ჭკვიანი ვარ!“ ამბობს კიკო.

„კარგი, მაშ, მე მოგიყვები ოქროს წესებს ეკრანების შესახებ, ყურადღებით მომისმინე“.

პირველი

ითხოვე ნებართვა
ეკრანის გამოყენებამდე.

მეორე

დაფიქრდი, ვიდრე
რაიმეს გააკეთებ.

და მესამე ....

ვითხოვო დახმარება, თუკი
დამჭირდება! დასძენს კიკო.

„სწორია, კიკო!
ეკრანთან ახლოს
ყოველთვის უნდა
გქონდეს შენი
ჯადოსნური სასტვენი.
და დახმარება თუ
დაგჭირდა...“

ჰეი, კიკო! წამოდი და ჩემთან ერთად ითამაშე! სასაცილო სახეები მივიღოთ და მე ფოტოებს გადაგიღებ!
ჰეი, ყველას ვერ დავიჭერ!!!

ამ დროს ჩნდება
ბევრიმე და იწყებს სურათების
ჭამას. ბევრიმეებს
განსაკუთრებული ძალა აქვთ.
როდესაც ერთ ფოტოს შეჭამენ,
ისინი ათასობით ფოტოს ქმნიან!

„ყვავო, ყვავო, ჩემებია!“
ბევრიმე იცინის და
მიფრინავს.

ფლუიი, ფლუიი! კიკო
სტვენს სასტვენს!

პიპა მის გვერდითაა და
მზადაა დასახმარებლად!

ფრი, ფრი! პიპა და კიკო
ყველა სურათს აგროვებენ.
როგორ მოვასწარით!
ბევრიმე მიფრინავს.

„რა თავგადასავალია! ახლა
კი დროა, სახლში წავიდეთ,
კიკო!“

ჭყუმპალაობის დროა!
ჭყაპ-ჭყუპ! კიკოს მოსწონს
მფრინავი თევზი.

კარი იღება და ეკრანი შემოდის.

„ჰეი, კიკო! ისეთი საყვარელი ხარ ამ ბუშტებთან ერთად! შეიძლება სურათი გადაგიღო?“ - ეკითხება ეკრანი.

„არა! ყვირის კიკო და ეკრანისკენ ძალიან ბევრ ბუშტს უშვებს.

„კარგი, კარგი, კიკო, ამბობს ეკრანი და მიფრინავს.


რანაირი დღეა! კიკო ძალიან დაღლილია.
„ძილის დროა, კიკო!“ ამბობს პიპა.
„კარგი, კარგი,“ ამბობს ძილმორეული კიკო.
16
კიკო, შეიძლება ფოტო გადავიღო ჩვენი ალბომისთვის?
დღეს არა, პიპა, დაღლილი ვარ.
რა თქმა უნდა, კიკო. უარის თქმა ნორმალურია.
17

შეგიძლია, გაიხსენო გაკვეთილები, რომლებიც კიკომ სურათების გადაღების შესახებ ისწავლა?

პირველი

უპირველეს ყოვლისა, ნებართვა უნდა ითხოვოთ.

მეორე

ჩემი ფოტო ჩემია!

მეორე: ჩემი ფოტო ჩემია! „ყველამ უნდა ითხოვოს ნებართვა, როდესაც ფოტოს მიღებს“, ამბობს კიკო.

„... და არავის არ აქვს უფლება შიშველს გადაგიღოს ფოტო,“ დასძენს პიპა.

მესამე

უფლება მაქვს ვთქვა „არა“!

„ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არ იცი რა გააკეთო...“ ამბობს პიპა, ფლუი, ფლუი!

“ძალიან კარგი, კიკო.
თავგადასავლებით სავსე დღე
იყო. შენს საყვარელ სიმღერას
დავუსტვენ და მალე
ჩაგეძინება“

და სანამ პიპა უსტვენს, კიკოს
კანფეტები ესიზმრება, რომლებიც
ყველგან იზრდება.

ფრანგული გამოცემა:
Kiko et les Moipartouts

ამ დოკუმენტის ან მისი ნაწილის რეპროდუქციასა და თარგმანთან დაკავშირებული ყველა მოთხოვნით უნდა მიმართოთ კომუნიკაციების დირექტორატს (F-67075 Strasbourg Cedex or publishing@coe.int). ამ დოკუმენტთან დაკავშირებული ყველა სხვა დოკუმენტაცია უნდა გაიგზავნოს დემოკრატიის გენერალურ დირექტორატში.

© ევროპის საბჭო, 2020 წლის ნოემბერი
ილუსტრაცია და განლაგება: AFP-Services

წარმოდგენილი ძილისპირული ზღაპრის მიზანია 4-7 წლის ასაკის ბავშვებს განუმარტოს რამდენიმე ძირითადი წესი ეკრანის გამოყენებისა და მათი ფოტოებისა და პირადი ცხოვრების დაცვის მნიშვნელობის შესახებ. თუ გსურთ დამატებითი ინფორმაცია მიიღოთ ამ თემასთან დაკავშირებით, ეწვიეთ ვებგვერდს **www.underwearrule.net**

ევროპის საბჭო მადლობას უხდის ძალადობის აღმოფხვრის ფონდს (The End Violence Fund) ამ პროგრამის ფინანსური მხარდაჭერისთვის. ძალადობის აღმოფხვრის ფონდი აფინანსებს პროგრამებს, რომლებიც გვთავაზობს ინტერნეტში ბავშვთა ექსპლუატაციისა და ძალადობისგან დაცვის პრაქტიკულ და ინოვაციურ გადაწყვეტას.

ევროპის საბჭო კონტინენტის წამყვანი ორგანიზაციაა ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით. იგი აერთიანებს 47 წევრ სახელმწიფოს, მათ შორის, ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოს. ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფო წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ხელმომწერ მხარეს, კონვენცია საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომელიც ადამიანის უფლებების, დემოკრატიის და კანონის უზენაესობის დასაცავად შეიქმნა. წევრ სახელმწიფოებში კონვენციის აღსრულებას ზედამხედველობას უწევს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.

GEO

End Violence Against Children

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE